

თამარ გაგოშიძე - პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისლექსიის ადრეული იდენტიფიკაცია და პრევენცია დაწყებით სკოლაში

დისლექსია სკოლის მოსწავლეებში ყველაზე გავრცელებული დასწავლის უნარის დარღვევაა. საქართველოში არც ერთ პოპულაციაში არ გვაქვს მისი გავრცელების ეპიდემიოლოგიური მონაცემები. ამერიკული მონაცემებით სკოლის მოსწავლეთა 15 %-ს დასწავლის უნარის დარღვევა აქვს, საიდანაც ყველაზე დიდი წილი (7%) მოდის დისლექსიის შემთხვევებზე. ინგლისური და ფრანგული მონაცემებით მოსწავლეთა 3.5%-დან 7%-მდე აღენიშნებათ დისლექსია (Di Folco et al., 2021). კითხვის უნარის განვითარების დარღვევა დრამატულ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდის მომავალზე, არამედ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

მნიშვნელოვანია კითხვის უნარის დარღვევის ადრეული იდენტიფიკაცია, პრევენცია და შემდგომ მიზანმიმართული საგანმანათლებლო ჩარევა. საქართველოში მასწავლებლები არ არიან განებივრებული დისლექსიის საგანმანათლებლო შეფასების ინსტრუმენტებით, ცოდნით დისლექსიის, მისი მრავალფეროვანი გამოვლინებების შესახებ, კითხვის სწავლების მოდელებით თუ განსხვავებული სტრატეგიებით. ხშირად, ასეთ მოსწავლეს უპასუხისმგებლოსა და ზარმაცის იარაღი ეწეება. მოსწავლეები, თუ მათ არ აქვთ ქცევის პრობლემები, შეუმჩნეველად აღწევენ საბაზო საფეხურს, ამ ეტაპზე უკვე მკვეთრად ვლინდება მათი დასწავლის პრობლემები.

მსოფლიოში ფართოდ ინერგება ინტერვენციაზე პასუხის მოდელი (RTI), რომელიც 2004 წლიდან მუშავდებოდა აშშ-ში, 2008 წლიდან აქტიურად დაიწყო მისი გამოცდა სკოლებში. მანამდე, სპეციალური და ინკლუზიური განათლების სისტემაში მოსწავლეთა ჩართვა ხდებოდა მას შემდეგ, რაც ისინი დააკმაყოფილებდნენ შესაბამის ფორმალურ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს, ეს ეხებოდა დისლექსიასაც. ის მოსწავლეები, რომლებსაც ნაკლებად ჰქონდათ გამოხატული დასწავლის და ქცევითი პრობლემები ვერ იღებდნენ დროულ დახმარებას, რაც შემდგომში ძალიან ართულებდა მათი სწავლების პროცესს (Grosche, Volpe, 2013).

ინტერვენციაზე პასუხის მოდელი შედეგსა და დიაგნოზზე ორიენტირებული არაა. მას პროაქტიული კონცეპტუალური ჩარჩო უდევს საფუძვლად, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა აკადემიური და ქცევითი პრობლემების პრევენცია და დროული იდენტიფიკაცია (Fletcher, Vaughn, 2009). ამ მოდელით ყველა მოსწავლეს სკოლაში ასწავლიან მტკიცებულებაზე დაფუძნებული წერა-კითხვის ინსტრუქციებით, სტრატეგიებითა და მოდელებით. თუ რომელიმე მოსწავლე ჩამორჩება აკადემიური უნარების ათვისებით რაღაც მიზეზების გამო, ეკუთვნის თუ არა მას სპეციალურ ან ინკლუზიური განათლების სისტემაში ჩართვა, მას დამატებით მიეწოდება სკოლის ფარგლებში დამატებითი გავარჯიშება დასწავლის სტრატეგიების ცვლილებით. თუკი სკოლა თავისი ძალებით ვეღარ ახერხებს მხარდაჭერას, მხოლოდ მაშინ ერთვებიან სპეციალური საგანმანათლებლო სისტემის სპეციალისტები. ამ მოდელის მიხედვით, ცენტრალური ფიგურები ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებელი და სკოლის სპეციალური მასწავლებლები არიან, რომლებიც დროულად ახდენენ ბავშვის საგანმანათლებლო სკრინინგს, აკვირდებიან მის შედეგებს და რეაგირებენ, თუ შეამჩნევენ, რომ ბავშვის დასწავლის ტემპი ჩამორჩა. ამისათვის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენციები აკადემიური უნარების ათვისების თანამედროვე მეთოდებსა და სტრატეგიებში.

საკვანძო სიტყვები: დისლექსია, ინტერვენციაზე პასუხის მოდელი, კითხვის სწავლების მოდელი, მასწავლებლების მომზადება

Tamar Gagoshidze - Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Early Identification and Prevention of Dyslexia in Primary School

Dyslexia is the most common learning disability among schoolchildren. In Georgia, we lack epidemiological data on its prevalence in any population. According to American data, 15% of schoolchildren have learning disabilities, with the largest share (7%) being cases of dyslexia. According to English and French data, 3.5% to 7% of students are diagnosed with dyslexia (Di Folco et al., 2021). Reading skill development disorders dramatically impact not only an individual's future but also their personality formation.

Early identification, prevention, and targeted educational intervention for reading skill disorders are crucial. In Georgia, teachers are not equipped with educational assessment tools for dyslexia, knowledge about its diverse manifestations, reading instruction models, or various strategies. Often, such students are labeled as irresponsible and lazy. If students do not exhibit behavioral problems, they may reach the basic level unnoticed, where their learning problems become sharply evident.

Globally, the Response to Intervention (RTI) model is being widely implemented. It has been developed in the USA since 2004 and has been actively tested in schools since 2008. Before this, students were integrated into the special and inclusive education system only after meeting specific formal classification criteria, including for dyslexia. Students with less pronounced learning and behavioral problems did not receive timely assistance, making their subsequent education process very difficult (Grosche, Volpe, 2013).

The Response to Intervention model is not focused on outcomes and diagnosis. It is based on a proactive conceptual framework aimed at preventing and timely identifying academic and behavioral problems in students (Fletcher, Vaughn, 2009). According to this model, all students are taught in school using evidence-based literacy instructions, strategies, and models. If a student lags in acquiring academic skills for some reason, whether or not they qualify for special or inclusive education, they are provided with additional training within the school through changes in learning strategies. If the school can no longer support them, only then are specialists from the special education system involved. In this model, the central figures are general education teachers and school special educators, who conduct timely educational screening, monitor results, and respond if they notice the student's learning pace has fallen behind. Therefore, teachers must have appropriate competencies in modern methods and strategies for acquiring academic skills.

Keywords: Dyslexia, Response to Intervention Model, Reading Instruction Model, Teacher Training